



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ქიმია
საბაკალავრო პროგრამა

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 21 სექტემბერი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 21 ოქტომბერი 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ქიმია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ქიმიის ბაკალავრი Bachelor of Chemistry
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ქიმია, 0531
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ავტორიზებული აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი - 15.03.2021

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია, ევროპის უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ოჩიკიძე, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მამუკა მისურამე, საქართველოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ხატისაშვილი, საქართველოს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ქიმიის საგანმანათლებლო პროგრამა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს 1933 წლიდან. აღნიშნულმა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №32, 16.09.2011). 2021 წლის 15 მარტის შემდეგ პროგრამა ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან ერთად. საბაკალავრო პროგრამა “ქიმია“ აგებულია ევროპული კრედიტების - სატრანსფერო სისტემის შესაბამისად და მოიცავს 240 კრედიტს, რომელიც პროგრამის სტრუქტურის მიხედვით შემდეგგვარად ნაწილდება:

I. ძირითადი სპეციალობა (major) –180 კრედიტი, აქედან:

- ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები - 120 კრედიტი
- ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები –20 კრედიტი
- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 კრედიტი
- თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი

II. დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა – 60 კრედიტი

პროგრამის განახლებაზე მუშაობისას განხორციელდა რიგი ცვლილებები, რომელიც შეეხებოდა, როგორც პროგრამის მიზნების შესაბამისობაში მოყვანას უნივერსიტეტის

მისიასთან, ასევე პროგრამის სტრუქტურას, სწავლების მეთოდების გადახედვას და სტუდენტის შეფასების სისტემის შესაბამისობაში მოყვანას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანებასთან “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის” შესახებ.

ცვლილებების შედეგად შეიცვალა შეფასების ქულობრივი ზღვრები, გადაიხედა და მოდიფიცირდა სხვადასხვა სასწავლო კურსის სილაბუსი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უცხო ენის სილაბუსების გაუმჯობესებას.

განახლდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, რომელიც ჩამოყალიბდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა რეკომენდაციების გათვალისწინებით. პროგრამაზე ცვლილებები დაეყრდნო პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ხედვებს, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვების შედეგებს და დამსაქმებლისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ქიმია“ სტრუქტურაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. კერძოდ: პროგრამას დაემატა როგორც სავალდებულო ასევე არჩევითი სასწავლო კურსები.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია პროგრამა მოდიფიცირდა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და ამ ბრძანების დანართი 2-ით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მოთხოვნების შესაბამისად.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ქიმიის საბაკალავრო პროგრამის სააკრედიტაციო ვიზიტი განხორციელდა ევუმნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 8 სექტემბრის **MES 3 21 0000881738** ბრძანებას „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შესახებ“.

აღნიშნული პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით, ექსპერტთა გუნდი გაეცნო დაწესებულების მხრიდან წარდგენილ დოკუმენტაციას. აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებამდე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (თავმჯდომარე - ნინო პატარია - შპს ევროპის უნივერსიტეტი; წევრი - ნათია ოჩხიკიძე საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი; წევრი - მამუკა მასურაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სტუდენტ-ექსპერტი - თამარ ხატისაშვილი- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი) წინამოსამზადებელი შეხვედრა ZOOM პლატფორმის გამოყენებით, სადაც განხილული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი მასალების შინაარსი. შეხვედრის ფარგლებში, მოხდა ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება და სააკრედიტაციო ვიზიტის დღის წესრიგში სესიების მიხედვით დასასმელი კითხვების დაზუსტება.

აკრედიტაციის ვიზიტი წარიმართა ონლაინ რეჟიმში (ZOOM აპლიკაციით), რომელიც დაიგეგმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლის მიერ (ცენტრის წარმომადგენელი - ლალი ოდიშვილი).

დღის წესრიგის გათვალისწინებით შეხვედრები დაიწყო 10:00-ზე (21.09.2021).

დღის წესრიგის მიხედვით, ინტერვიუები შედგა შემდეგ ჯგუფებთან:

- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია;
- პროგრამაზე მომუშავე თვითშეფასების ჯგუფი;
- პროგრამის ხელმძღვანელი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (უნივერსიტეტის და ფაკულტეტის);
- აკადემიური პერსონალი;
- პროგრამის სტუდენტები;
- პროგრამის კურსდამთავრებულები;
- პოტენციური და არსებული დამსაქმებლები

ასევე, განხორციელდა მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება ონლაინ რეჟიმში. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოების/სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში.

ინტერვიუები განხორციელდა სამუშაო გარემოში ეთიკური ნორმების სრული დაცვით; ექსპერტთა ჯგუფი ხელმძღვანელობდა აკრედიტაციის სტანდარტების აღწერილობით/შეფასების კრიტერიუმებით კითხვების დასმის პროცესს, რათა მიეღო ამომწურავი ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან, პროგრამის სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირებაზე.

დასკვნის პროექტი უსდ-ს წარმომადგენლებთან გაიგზავნა დადგენილ ვადებში, რომლის შემდეგაც მიღებული იქნა მათი მხრიდან არგუმენტირებული პოზიცია. უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-მ რეკომენდაციების თითქმის სრული ნაწილი გაითვალისწინა და გარკვეული ცვლილებებიც უკვე განხორციელა წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე, თუმცა ბუნებრივია ვიზიტის შემდეგ განხორციელებული ცვლილებები დასკვნის საბოლოო ნაწილზე ვერ აისახება.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებისა და უსდ-ს მხრიდან წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით გაცემული რეკომენდაციები და რჩევები დარჩა უცვლელი.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ექსპერტთა ჯგუფის სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისობა შემდეგი სახით გადანაწილდა:

- შესაბამისობაშია შემდეგი ქვესტანდარტები: 2.1, 2.4, 2.5, 2.6, 3.1, 4.2, 5.1, 5.2, 5.3.
- მეტწილად შესაბამისობაშია შემდეგი ქვესტანდარტები: 1.1, 1.2, 2.2, 2.3, 4.1, 4.3, 4.4.

სტანდარტი 1. მეტწილად შესაბამისობაშია

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია

სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია

გაცემული იქნა რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით დადებითად აისახება პროგრამის შემდგომ განვითარებაზე.

▪ რეკომენდაციები

- გადაიხედოს პროგრამის მიზნების ფორმულირება ნაკლები დეტალიზაციის და მეტი განზოგადებულობის მიმართულებით
- გადაიხედოს კურიკულუმის რუკა სასწავლო კურსების კონკრეტული სწავლის შედეგის უზრუნველყოფის დონის განსაზღვრის მიხედვით
- გაიზარდოს „დამოუკიდებლობასა და ავტონომიურობის“ შემადგენელი სწავლის შედეგების განმსაზღვრელი სასწავლო კურსების რაოდენობა მათი შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით
- გადაიხედოს minor პროგრამის სწავლის შედეგები და გახდეს ის უფრო რეალისტური
- გადაიხედოს სასწავლო კურსების თავისუფალ კომპონენტად მიკუთვნების საკითხი;
- გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების დაშვების პირობები
- სილაბუსებში მნიშვნელოვნად გადასახედია და მეტად გასათვალისწინებელია საგნის სპეციფიკა, როგორც შეფასების ისე ფორმატის გათვალისწინებით. კერძოდ მნიშვნელოვნად შესაცვლელია ზოგიერთი საგნის სილაბუსებში ლაბორატორიული მეცადინეობისათვის კვირაში დათმობილი საათების ხანგრძლივობა და ამოცანები. აუცილებელია მოხდეს, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, არსებული საათების გადანაწილება ოპტიმალურად, საჭიროების შემთხვევაში დამატება
- გადაიხედოს სილაბუსი - საწარმოო პრაქტიკა, მნიშვნელოვანია სასწავლო კურსის მიზნის ფორმირება მოხდეს განვლილ სასწავლო კურსებზე დაყრდნობით. ასევე, დასახვეწია შეფასების სისტემა
- რეკომენდებულია, იმ პერიოდულობით, რაც უსდ-ს მიერ არის დადგენილი (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშს აკადემიური პერსონალი წარადგენს ყოველი წლის ბოლოს), გადაიხედოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და შემომწდეს მათი მხრიდან შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებისა და პუბლიკაციების პერიოდულობა, რათა შესაბამისობაში მოვიდეს აკრედიტაციის სტანდარტით დადგენილ ნორმებთან
- რეკომენდებულია, შესაბამისი სამსახურის მხრიდან მუდმივად გადამოწმდეს პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ვალიდურობა და მოქმედების ხანგრძლივობა. იმ შემთხვევაში, თუკი პროფესორი არჩეულია უვადოდ, მოხდეს ამ ფაქტის იდენტიფიცირება მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაშივე
- უნივერსიტეტის ლაბორატორიები უზრუნველყოფილი იყოს თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით, ჭურჭლით, გამწოვი სისტემებით და ლაბორატორიის შესაბამისი თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების ინფრასტრუქტურით. ყველა ლაბორატორიულ ოთახებში ვენტილაციის სისტემების დამონტაჟება
- ბიუჯეტის გაწერა მოხდეს კონკრეტული მუხლების შემადგენლობაში არსებული ხარჯების მითითებით
- მიეთითოს ბიუჯეტის დაბალანსებისათვის მიმართული ფინანსების წარმოშობა

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
 - სასურველია, განისაზღვროს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით პროგრამის მიზნები, და შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
 - პროგრამას დაემატოს საბაკალავრო (დამამთავრებელი) ნაშრომი
 - სასურველია, გაიზარდოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სასურველია, მინიმალური კომპეტენციის ზღვრების (როგორც შუალედური შეფასების, ასევე დასკვნითი გამოცდის) ჯამი იყოს 41 ქულა
 - სასურველია, ლაბორატორიული კომპონენტის ცალკე სასწავლო კურსის ფორმით განაწილება. კონკრეტულად: ზოგადი, არაორგანული და ორგანული ქიმია - ლაბორატორიული მუშაობის ცალკე გამოყოფა და სათანადო დროის დათმობა.
 - სასურველია, გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიანი რეაგირების ანგარიშში, რათა უფრო ნათლად გამოიკვეთოს, თუ რამდენად იყენებს უსდ გამოკითხვის შედეგებს პროგრამის განვითარებისათვის
 - სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან გაიცეს უფრო მკაფიო რეკომენდაციები პროგრამაზე მუშაობისას გამოვლენილ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, დაანახოს პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს ამ ცვლილებათა განხორციელების აუცილებლობა და გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში სათანადო შედეგების დადგომის რისკი
 - სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და წარმოდგენილი იყოს შესაბამისი ანგარიშის სახით

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
 - ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები. უნივერსიტეტი აცნობიერებს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას და მიზნად ისახავს თავის საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქისა და რეგიონის განვითარებაში. ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ახალი ცოდნის გენერირება-გავრცელებას. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ქიმია“ მიზანი გაზიარებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და დაინტერესებული პირების მიერ. შესაბამისობაშია აწსუ-ს მისიასთან, უნივერსიტეტის მიზნებთან და სტრატეგიულ მიმართულებებთან. ქიმიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი მაღალკვალიფიციური, სოციალურ გარემოში ადაპტაციისა და კომუნიკაციის უნარის მქონე ქიმიის ბაკალავრის მომზადება, რომელსაც შეუძლია:

- ქიმიური მეცნიერების მიღწევების საფუძველზე, ქიმიის მიმართულებით არსებული პრობლემის იდენტიფიცირება.
- ელემენტებისა და მათ ნაერთებს შორის არსებული კანონზომიერებების განხილვა დ.ი.
- მენდელეევის პერიოდული სისტემის საფუძველზე, ქიმიის ძირითად თეორიებსა და კანონებზე დაყრდნობით ქიმიურ ნივთიერებათა შედგენილობისა და ქიმიური პროცესის

(მარტივი, რთული, მრავალ სტადიურად მიმდინარე რეაქციების და სხვ.) მიმდინარეობის გააზრება.

- ნივთიერებების მიღების ხერხებისა და ქიმიური თვისებების, მათი გამოყოფის, გასუფთავების მეთოდების შესწავლა, ქიმიურ რეაქციებზე მოქმედი ფაქტორების დადგენა, მრეწველობასა და ყოფა-ცხოვრებაში ნაერთების გამოყენება.

- ნახშირწყალბადებისა და მათი წარმოებულების მიღების, ფიზიკური და ქიმიური თვისებების, ურთიერთგარდაქმნის რეაქციებისა და მექანიზმების, ბუნებაში გავრცელებისა და მათი აღნაგობის დადგენა.

- სისტემაში ენერგეტიკული ბალანსის, პროცესების მიმდინარეობის შესაძლებლობისა და მიმართულების დადგენა, როგორც იზოლირებულ, ისე არაიზოლირებულ სისტემებში; იდეალურ და რეალურ ხსნარებში მიმდინარე პროცესების, ხსნარების კოლიგატიური თვისებების, ელექტროქიმიის, კინეტიკისა და კატალიზის, ძირითადი კანონების ახსნა.

- ლაბორატორიაში ქიმიურ ექსპერიმენტზე უსაფრთხოდ მუშაობა და ქიმიური ექსპერიმენტის დაგეგმვა, ჩატარება, მონაცემების დამუშავება და დასკვნის გაკეთება.

პროგრამის მიზნების ფორმულირება საჭიროებს გადახედვას. პროგრამის მიზანი უნდა ჩამოყალიბდეს ზოგადი ფორმულირებით, წარმოდგენილი მიზნები არის ზედმეტად დეტალიზებული და წარმოდგენის ფორმით მსგავსია სწავლის შედეგების.

პროგრამის მიზნების განსაზღვრისათვის გამოყენებულია არ იქნა ანალოგი პროგრამები, კარგი იქნებოდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პროცესში უფრო მეტად გამოყენებული ყოფილიყო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ასპექტები და პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა. ამ გზით, ანალოგი პროგრამების ანალიზი წვლილს შეიტანდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაუმჯობესებაში.

პროგრამის ამჟამინდელი მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია და გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმია“
- უნივერსიტეტის მისია www.atsu.edu.ge
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა <https://atsu.edu.ge/index.php/strategic-plan-geo>
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა <https://atsu.edu.ge/index.php/exact-strategic-plan-geo>

<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ● გადაიხედოს პროგრამის მიზნების ფორმულირება ნაკლები დეტალიზაციის და მეტი განზოგადებულობის მიმართულებით
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ● სასურველია, განისაზღვროს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით პროგრამის მიზნები და შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p>✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ქიმია“ სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი ფლობს პროგრამის დასრულებისას. სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზანს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის</p>

საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი 3-ით განსაზღვრულ სწავლის სფეროს შინაარსს (0531 ქიმია). პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას „ქიმიის ბაკალავრი.“ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება არის მუდმივი პროცესი, რომლის შედეგადაც დგინდება სტუდენტების მიერ მიღწეული შედეგები და ღონისძიებები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის სწავლის შედეგები განაწილებულია „ცოდნა და გაცნობიერების“, „უნარებისა“ და „ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის“ კატეგორებში. ამავე დროს „ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის“ კატეგორიას უზრუნველყოფს მხოლოდ „საწარმოო პრაქტიკის“ სასწავლო კურსი, მაშინ, როდესაც სხვა სასწავლო კურსებსაც შეაქვთ წვლილი (კონკრეტული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებიდან გამომდინარე) ამ კატეგორიის სწავლის შედეგების განვითარებაში. კონკრეტულად პროგრამის სწავლის შედეგს- „იცავს ქიმიურ ლაბორატორიებსა და საწარმოებში მუშაობის უსაფრთხოების წესებს, იღებს პასუხისმგებლობას ექსპერიმენტით მიღებულ შედეგებზე“ განავითარებს ყველა ის სასწავლო კურსი, სადაც არის სწავლების ლაბორატორიული ფორმა და ლაბორატორიული სამუშაოების აღწერილობაში არის ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესების დაცვა.

დანართებში მოცემულია კურიკულუმის რუკა, რომელშიც შეტანილი იქნა პროგრამის სწავლის შედეგები, საგანმანათლებლო პროგრამის მიერ შეთავაზებული ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები და განისაზღვრა რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის განვითარებას სამი პროგრესული დონით - I გაცნობა; P - გაღრმავება; M - განმტკიცება.

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსების მიკუთვნება კონკრეტული დონისადმი საჭიროებს გადახედვას- კერძოდ ისეთი ძირითადი სასწავლო კურსები, როგორცაა „ორგანული ქიმია 2“, „ფიზიკური ქიმია 2“, რომლების წარმოადგენს კვალიფიკაციის ძირითად განმაპირობებელ კურსებს უნდა შეესაბამებოდნენ მესამე დონეს.

ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და იძლევა შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

წარმოდგენილ მასალაში მოცემულია minor პროგრამა, რომლის სწავლის შედეგები პრაქტიკულად იმეორებს ძირითადი პროგრამის სწავლის შედეგებს, გარდა „პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობის“ ნაწილში წარმოდგენილი სწავლის შედეგებისა, რომელსაც ძირითად პროგრამაში განსაზღვრავს „საწარმოო პრაქტიკის“ სასწავლო კურსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმია“;
- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის მიზნების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს კურიკულუმის რუკა სასწავლო კურსების კონკრეტული სწავლის შედეგის უზრუნველყოფის დონის განსაზღვრის მიხედვით
- გაიზარდოს „დამოუკიდებლობასა და ავტონომიურობის“ შემადგენელი სწავლის შედეგების განმსაზღვრელი სასწავლო კურსების რაოდენობა მათი შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით
- გადაიხედოს minor პროგრამის სწავლის შედეგები და გახდეს ის უფრო რეალისტური

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის		✓		

შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				
---	--	--	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სახელმწიფოს რეგულაციები ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმართ. ამ მოთხოვნებისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რაც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. დაინტერესებულმა პირმა ეს ინფორმაცია შესაძლებელია იხილოს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ვებ-გვერდებზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების ცნობარში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმია“; • დადგენილება №94(17/18) სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი • პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების წესის დამტკიცების შესახებაწესი № 12(17/18) დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; • https://www.atsu.edu.ge
<p>რეკომენდაციები:</p> <p>----</p>

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>o გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><u>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u></p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმია“ შედგენილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის-EP-QA“ (აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის დადგენილება №49 (17/18) შესაბამისად, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს მაღალი აკადემიური სტანდარტების მქონე, შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებას. პროგრამამ მოდიფიკაცია განიცადა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ ნ ბრძანების დანართი 1 - ით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და ამ ბრძანების დანართი 2-ით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მოთხოვნების შესაბამისად.</p>

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ქიმია“, აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად და მისი მოცულობა 240 კრედიტია, წელიწადში – 60 კრედიტი, სემესტრში – 30 კრედიტი. 1 კრედიტს შეესაბამება 25 სთ. საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა 4 წელია ანუ 8 სემესტრი.

პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად, საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა განისაზღვრა შემდეგი სახით:

I. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები - 120 კრედიტი;

II. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი;

III. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 კრედიტი;

IV. თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი;

V. დამატებითი (minor) პროგრამა - 60 კრედიტი.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული მეთოდები, კრედიტების მოცულობა, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები შესაბამისობაშია თითოეული სასწავლო კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მიიღო თვითშეფასების ჯგუფის წევრებთან ერთად პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა და დაინტერესებულმა მხარეებმა.

პროგრამაში წარმოდგენილია თავისუფალი კომპონენტების ბლოკი, რომელშიც შედის სასწავლო კურსები, რომლებიც ან წარმოადგენენ სხვა სასწავლო კურსების წინაპირობას (კომპიუტინგის შესავალი და კომპიუტერული უნარ - ჩვევები), ან ოფიციალურად არ არის სხვა სასწავლო კურსის წინაპირობა, მაგრამ შინაარსობრივად წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას (კალკულუსი), ნაწილი თავისუფალი კომპონენტების მოქმედებს კვალიფიკაციის ფორმირებაში (უცხო ენა, აკადემიური წერა).

პროგრამაში არის თავისუფალი კომპონენტი 5 კრედიტის ოდენობით, მაგრამ არ არის განმარტებული მისი არჩევის წესი. ინტერვიურებისას პროგრამის წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადება, რომ სტუდენტი ირჩევს ნებისმიერ სასწავლო კურსს უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედი პროგრამებისა (გარდა რეგულირებადი პროფესიებისა). მაგრამ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ყოველი თავისუფალი სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობა.

სასწავლო კურსის „ფიზიკური ქიმია“ მიზანში ნათქვამია: „ფიზიკისა და ქიმიის ძირითად დებულებათა ორგანული შერწყმითა და მათემატიკური აპარატის გამოყენებით ახსნილი იქნას ქიმიური მოვლენები“ ამავე დროს წინაპირობაში მითითებულია მხოლოდ სასწავლო კურსი „ფიზიკა“.

სასწავლო კურსის „ზოგადი ქიმიური ტექნოლოგიის“ დაშვების წინაპირობაა მხოლოდ „არაორგანული ქიმია“, მაშინ როდესაც შინაარსში მოცემულია, როგორც ორგანული ნაერთების სამრეწველო წესით მიღება, ასევე მათემატიკური გაანგარიშებები. მისი წინაპირობა უნდა იყოს ასევე „ორგანული ქიმია“ და „კალკულუსი“;

სასწავლო კურსს „ქვანტური ქიმია“ დაშვების წინაპირობად მითითებული აქვს მხოლოდ „ზოგადი ქიმია“. ამავე დროს მისი სწავლის შედეგების გათვალისწინებით აუცილებელია წინაპირობად „კალკულუსის“ არსებობა.

სასწავლო კურსს „მომწამლავ ნივთიერებათა ქიმია“ დაშვების წინაპირობად მითითებული აქვს „ორგანული ქიმია 2“, თუმცა განსახილველი თემებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე აუცილებელია „არაორგანული ქიმიის“ მითითებაც.

ანალოგიური სურათია სასწავლო კურში „საყოფაცხოვრებო ქიმია“ აქ დაშვების წინაპირობად მითითებულია „ორგანული ქიმია 1“ . უფრო უპრიანი იქნება დაშვების წინაპირობად მიეთითოს „ორგანული ქიმია 2“ და ‘არაორგანული ქიმია“.

სასწავლო კურსს „საწარმოო პრაქტიკა“ არ აქვს დაშვების წინაპირობა, რაც იმ დატვირთვის სასწავლო კურსისათვის, როგორცაა წარმოდგენილია პროგრამაში, დაუშვებელია. პროგრამის სასწავლო კურსების ჩამონათვალში არ არის „დამამთავრებელი ნაშრომი“, რომელიც ხელს შეუწყობდა სტუდენტის ჩამოაყალიბებას, როგორც თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის სპეციალისტად.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №49 (17/18) 09.02.2018 - ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
 - საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA
 - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმია“;
 - კურიკულუმის რუკა;
 - სასწავლო კურსების სილაბუსები.

- რეკომენდაციები:**
- გადაიხედოს სასწავლო კურსების თავისუფალ კომპონენტად მიკუთვნების საკითხი;
 - გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების დაშვების პირობები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- პროგრამას დაემატოს საბაკალავრო (დამამთავრებელი) ნაშრომი

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქიმიის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევით კურსებს. თითოეული კურსის კრედიტის მოცულობაში გათვალისწინებულია აუდიტორიული, საგამოცდო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილი საათები. სასწავლო კურსი გაწერილია სილაბუსში, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, კურსის ტიპი, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, კურსის განმახორციელებელი, კურსის მიზანი, სასწავლო კურსის ფორმატი, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლა/სწავლების მეთოდები, სასწავლო რესურსები, კურსის შინაარსი. სასწავლო კურსის სილაბუსით დეტალურად არის აღწერილი სტუდენტის შეფასების ფორმები, მეთოდები და რუბრიკები. სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია კურსის შესწავლისათვის რეკომენდებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, რომელიც უნივერსიტეტში არსებობს ბეჭდური და /ან ელექტრონული სახით.

სილაბუსებში მნიშვნელოვნად გადასახედია და მეტად გასათვალისწინებელია საგნის სპეციფიკა, როგორც შეფასების ისე ფორმატის გათვალისწინებით. კერძოდ მნიშვნელოვნად შესაცვლელია ზოგიერთი საგნის (ორგანული ქიმია-1, ორგანული ქიმია-2, ორგანული სინთეზი, არაორგანული სინთეზი, ბიოქიმია, ანალიზური ქიმია-1, ანალიზური ქიმია-2) სილაბუსებში ლაბორატორიული მეცადინეობისათვის კვირაში დათმობილი საათების ხანგრძლივობა და ამოცანები. აუცილებელია მოხდეს, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, არსებული საათების გადანაწილება ოპტიმალურად, საჭიროების შემთხვევაში დამატება.

გარდა ამისა, გადასახედია შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. რაც ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას (დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი კი განისაზღვრება 15 ქულით), შესაბამისად სასურველია გაიზარდოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სასურველია, მინიმალური კომპეტენციის ზღვრების ჯამი იყოს 41 ქულა მაინც.

როგორც 2.2 ქვესტანდარტში ზემოთ განიმარტა, შესაცვლელია თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების: ინგლისური, აკადემიური წერა, კომპიუტინგის შესავალი და კომპიუტერული უნარ-ჩვევები და კალკულუსის თავისუფალი არჩევის პირობა, ვინაიდან ეს საგნები წარმოადგენს ზოგიერთი სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობას, საჭიროა

მიენიჭოს სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსი.

გადაიხედოს სილაბუსი - საწარმოო პრაქტიკა, მნიშვნელოვანია სასწავლო კურსის მიზნის ფორმირება მოხდეს განვლილ სასწავლო კურსებზე დაყრდნობით. ასევე, დასახვეწია შეფასების სისტემა.

ცალკე აღნიშვნის საგანია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო გარემო. 2011 წლიდან უნივერსიტეტში ჩართულია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ – კატალოგის (OPAC) სერვისი. ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა ელექტრონულ ბაზებზე. ასევე, უნივერსიტეტს აქვს ცალკე იზოლირებული შენობა ბიბლიოთეკისათვის, რომელიც თავის მხრივ აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით და ადაპტირებულია შშმ პირებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა (პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან შესაბამისობის რუკა).
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- აწსუ-ს ბიბლიოთეკა - <http://www.library.at su.edu.ge>;

რეკომენდაციები:

- სილაბუსებში მნიშვნელოვნად გადასახედია და მეტად გასათვალისწინებელია საგნის სპეციფიკა, როგორც შეფასების ისე ფორმატის გათვალისწინებით. კერძოდ მნიშვნელოვნად შესაცვლელია ზოგიერთი საგნის სილაბუსებში ლაბორატორიული მეცადინეობისათვის კვირაში დათმობილი საათების ხანგრძლივობა და ამოცანები. აუცილებელია მოხდეს, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, არსებული საათების გადანაწილება ოპტიმალურად, საჭიროების შემთხვევაში დამატება
- გადაიხედოს სილაბუსი - საწარმოო პრაქტიკა, მნიშვნელოვანია სასწავლო კურსის მიზნის ფორმირება მოხდეს განვლილ სასწავლო კურსებზე დაყრდნობით. ასევე, დასახვეწია შეფასების სისტემა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გაიზარდოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სასურველია, მინიმალური კომპეტენციის ზღვრების (როგორც შუალედური შეფასების, ასევე დასკვნითი გამოცდის) ჯამი იყოს 41 ქულა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმია“, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას. პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების სწავლების ფორმატია ლექცია, პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობები, რომლებიც სასწავლო კურსების სილაბუსებში დაგეგმილია სწავლის შედეგების შესაბამისად. მათი განხორციელებით უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ქიმია“ მიზანია სტუდენტს ჩამოუყალიბოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ლაბორატორიული კომპონენტის გაძლიერება. გარკვეულ მიმართულებებზე (არაორგანული ქიმია, ზოგადი ქიმია, ანალიზური ქიმია) მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია, გარკვეულ მიმართულებებზე კი (განსაკუთრებით ორგანული ქიმიის მიმართულება) მნიშვნელოვნად გასაუმჯობესებელია. საჭიროა ლაბორატორიის აღჭურვა, სამუშაო სივრცის უზრუნველყოფა, როგორც ორგანული სინთეზისათვის აუცილებელი ლაბორატორიული ჭურჭლით, ასევე გამწოვი კარადებით და აპარატურით. აწსუ-ში მოქმედებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და საერთაშორისო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების დაფინანსების წესი. უნივერსიტეტში ყოველ წელს ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. ამ კონფერენციისათვის სტუდენტის მომზადება გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-მეთოდურ დატვირთვაში. როგორც ზემოთ უკვე განიმარტა სასურველია, მეოთხე სასწავლო წელს დაემატოს საბაკალავრო (დამამთავრებელი) ნაშრომის მომზადება, რაც ბაკალავრის ხარისხის მინიჭების წინაპირობა იქნება. პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება -

<p>საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, სტუდენტს დაეხმარება კვლევით უნარ-ჩვევების გამომუშავებაში, მიიღებს მნიშვნელოვან გამოცდილებას, შეიძენს კვლევის დაგეგმვის, კვლევის შედეგების დამუშავების და გაფორმების ცოდნას. მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვნად დაეხმარება როგორც სამეცნიერო პროექტებში და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობაში, ასევე სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელებაში. აღნიშნული მიმართულებით რჩევა გაიცა 2.2 ქვესტანდარტის ნაწილში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ● საგანმანათლებლო პროგრამა; ● სტუდენტური კონფერენციები; ● ინტერვიუს შედეგები;
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><u>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u></p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეული სწავლება/სწავლის მეთოდები სტუდენტზეა ორიენტირებული და იძლევა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სწავლება/სწავლის მეთოდები შეესაბამება საფეხურს (ბაკალავრი), კურსის შინაარსს, სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სწავლება/სწავლის მეთოდები ორიენტირებულია სტუდენტზე, შეესაბამება ბაკალავრის საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება სწავლების ფორმები - ლექცია, პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობები, ასევე ისეთი აქტიური ფორმები როგორცაა: ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, პრაქტიკული, ლაბორატორიული, ახსნა-განმარტებითი, ანალიზის, სინთეზის, ინდუქციური და დედუქციური, დემონსტრირების მეთოდები.

თუმცა, სასურველია ლაბორატორიული კომპონენტის ცალკე სასწავლო კურსის ფორმით განაწილება. კონკრეტულად: ზოგადი, არაორგანული და ორგანული ქიმია - ლაბორატორიული მუშაობის ცალკე გამოყოფა და სათანადო დროის დათმობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ლაბორატორიული კომპონენტის ცალკე სასწავლო კურსის ფორმით განაწილება. კონკრეტულად: ზოგადი, არაორგანული და ორგანული ქიმია - ლაბორატორიული მუშაობის ცალკე გამოყოფა და სათანადო დროის დათმობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><u>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u></p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
 აწსუ-ში ქიმიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 (05.01.2007) ბრძანებით და უსდ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებების შესაბამისად. კერძოდ, პროგრამის სტუდენტის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი მრავალკომპონენტური სისტემით (შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა).

შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 18 ქულა 60-დან, ხოლო დასკვნითი გამოცდისთვის 15 ქულა 40-დან. მინიმალური კომპეტენციის მიღწევის შემთხვევაში ჯამურად სტუდენტი იღებს 33 ქულას, რაც საკმარისი არ არის იმისათვის, რომ სტუდენტი გავიდეს განმეორებით გამოცდაზე. სასურველია, მინიმალური კომპეტენციის ზღვრების ჯამი იყოს 41 ქულა მაინც. აღნიშნულის თაობაზე რჩევა გაიცა 2.3 ქვესტანდარტის ნაწილში.

სასწავლო კურსის შეფასების სისტემაში თითოეული კომპონენტისთვის გათვალისწინებულია შეფასების რუბრიკა. თავად გამოცდების ჩატარების პროცესს წარმართავს აწსუ-ს საგამოცდო ცენტრი. გამოცდებთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაცია თავსდება უსდ-ს ვებ-გვერდზე.

სტუდენტს აქვს უფლება გაასაჩივროს მიღებული შედეგები. ამისათვის სტუდენტმა, შესაბამისი პროცედურების დაცვით, განცხადებით უნდა მიმართოს რექტორის მოადგილეს და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

სასწავლო კურსების სილაბუსები და სასწავლო მასალები ატვირთულია ელექტრონულ პორტალზე, ამავე სივრცეში უზრუნველყოფილია ყველანაირი აკადემიური პროცედურის ელექტრონულ რეჟიმში განხორციელება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ქიმიის საბაკალავრო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაიარონ კონსულტაცია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, ამისთვის გამოყოფილია კონკრეტული საათი და აუდიტორია.

უნივერსიტეტში არსებობს ინფორმირების ელექტრონული სერვისები. გარდა უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა, აქტიურად გამოიყენება ელექტრონული პორტალი. ძირითად საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს კორპორაციული ფოსტა. პანდემიის პირობებში, დისტანციური სწავლების რეჟიმში, უსდ სტუდენტებს უზრუნველყოფს Microsoft Teams პლატფორმაზე ულიმიტო წვდომით.

უნივერსიტეტში აქტიურად ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისები, როგორებიცაა: სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშეწყობა; სტუდენტთა ომბუდსმენი; სტუდენტთა ფსიქოთერაპევტი. სტუდენტებს საკონსულტაციო მომსახურების მიღების საშუალება აქვთ ცენტრალური ბიბლიოთეკის მიმღებში.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მაქსიმალურად ხელს უწყობს სტუდენტებს და სთავაზობს სწავლების ინდივიდუალურ პროგრამას. სტუდენტს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია გამოიყენოს ეს შეთავაზება.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც იცავს სტუდენტის უფლებებს და წარმოადგენს მათ ინტერესებს ადმინისტრაციულ რგოლში. გარდა ამისა, სტუდენტური თვითმმართველობა ორგანიზებას უწევს გასართობ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებს.

უნივერსიტეტში აქტიურად ფუნქციონირებს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც მუდმივად ახორციელებს შრომის ბაზარზე ვაკანსიების მონიტორინგს და პოტენციური დამსაქმებლების მოზიდვას. ცენტრი, კორპორაციული პოსტის გამოყენებით, მუდმივად აწვდის დასაქმებასთან დაკავშირებულ სიახლეებს როგორც მოქმედ სტუდენტებს, ასევე კურსდამთავრებულებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ქიმიის საბაკალავრო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

<p>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
--

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

✓ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

✓ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➤ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია საერთო რაოდენობით 13 აკადემიური პერსონალი და ასევე ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებლები. წარმოდგენილი პერსონალიდან ცამეტივე მათგანს უკავია აკადემიური პოზიცია (1 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი).

აწსუ-ში პროგრამის განსახორციელებლად საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრა ხდება უნივერსიტეტის წარმომადგებლობითი საბჭოს No173 (28.02.2018) დადგენილებით „აწსუ-ში პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს: ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა, აკადემიური ჯგუფის საშუალო კვირეული დატვირთვა, ასოცირებული პროფესორის საშუალო კვირეული დატვირთვა.

განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. ისინი ფლობენ სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც განისაზღვრება მათი შესაბამისი კვალიფიკაციით, შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, პუბლიკაციებით და დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო აქტივობით.

ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებლების კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით.

თუმცა, აქვე ხაზი უნდა გაესვას ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც უსდ-ს მხრიდან გამოგზავნილი მასალების შესწავლისას გამოიკვეთა.

ერთ-ერთ ასოცირებულ პროფესორს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 2015 წლის შემდეგ არ უფიქსირდება შესრულებული სამეცნიერო პუბლიკაცია, არც ქართულ და არც უცხოურ რეფერირებად ჟურნალში.

მეორე პერსონალის პირადი საქმით კი დადგინდა, რომ ბოლო სამეცნიერო პუბლიკაცია შესრულებული აქვს 2016 წელს (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, 2016, N1(7)). სტატია ხელმისაწვდომია ელექტრონული სახითაც, თუმცა ვერ იდენტიფიცირდება ზუსტი თარიღი მისი გამოქვეყნების.

აღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია იმ პერიოდულობით, რაც უსდ-ს მიერ არის დადგენილი (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშს აკადემიური პერსონალი წარადგენს ყოველი წლის ბოლოს), გადაიხედოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და შემომწდეს მათი მხრიდან შესრულებული სამეცნიერო

ნაშრომებისა და პუბლიკაციების პერიოდულობა, რათა შესაბამისობაში მოვიდეს აკრედიტაციის სტანდარტით დადგენილ ნორმებთან.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით, აკადემიური პერსონალის შერჩევა და დანიშვნა ხდება ღია კონკურსის საფუძველზე. აწსუ-ში 2018 წელს ღია კონკურსის გზით მოხდა პროფესორის თანამდებობაზე აკადემიური ხარისხის მქონე პირების არჩევა (6 წლის ვადით), რაც შეეხება პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ასოცირებულ პროფესორებს, ღია კონკურსის გზით ისინი არჩეული არიან 2014 წელს, ხოლო 2019 წელს გაიარეს ატესტაცია.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს თითოეულ აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული აქვს ვადიანი ხელშეკრულებები. მასალების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ არცერთ აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულება არ არის ვალიდური და ხელშეკრულების ვადა ამოწურულია 2016, 2018 ან 2019 წელს. ბუნდოვანია, აღნიშნული ასოცირებული პროფესორები თუკი უვადოდ იქნა არჩეული და 2019 წელს გაიარეს ატესტაცია, მაშინ რატომ არის გაფორმებული მათთან ვადიანი ხელშეკრულებები.

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია შესაბამისი სამსახურის მხრიდან მუდმივად გადამოწმდეს პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ვალიდურობა და მოქმედების ხანგრძლივობა.

იმ შემთხვევაში, თუკი პროფესორი არჩეულია უვადოდ, მოხდეს ამ ფაქტის იდენტიფიცირება მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაშივე და აქედან გამომდინარე უვადოდ არჩეული პროფესორებისთვის ყოველ 5 (ხუთი) წელიწადში ერთხელ ატესტაციის ჩატარება, უსდ-ს მიერ წინასწარ შემუშავებული წესების დაცვით. ატესტაციის გაუვლელობამ ან წარუმატებლად გავლამ კი გამოიწვიოს პროფესორის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება.

აკადემიური პერსონალის რაოდენობრივი თანაფარდობა შესაბამისობაშია და ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური პერსონალის წლიური სასწავლო და სამეცნიერო მეთოდური დატვირთვების რაოდენობა განისაზღვრება 2019 წლის 10 ივლისის აკადემიური საბჭოს №65 (18/19) დადგენილებით „აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო მეთოდური დატვირთვის ნორმები“, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო-საკონტაქტო, სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობისთვის განკუთვნილ საათებს.

როგორც აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებიდან გამომდინარე, აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სწავლების გარდა, ჩართულია სტუდენტების კონსულტირებისა და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

პროგრამის ხელმძღვანელი გახლავთ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით. ინტერვიუების პროცესიდანაც გამომდინარე, რომ ის საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, აქტიურად უზიარებდა მოსაზრებებს პროგრამის განახლებაზე მომუშავე ჯგუფის დანარჩენ წევრებს.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა, რაც დასტურდება შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით. თანდართული დოკუმენტაცია ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელების მაღალ კვალიფიკაციას და უნარს უხელმძღვანელოს ქიმიის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განვითარების პროცესს.

პროგრამების შემუშავებისა და განვითარების გარდა პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული არის პროგრამის განხორციელების პროცესში, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად ახდენს აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის ხელშეწყობას, ჩართულია სტუდენტთა კონსულტირების, კლასგარეშე აქტივობების ორგანიზება-ჩატარების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი საგნის/საგნების მითითებით;
- აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები (CV-ები);
- აწს-ს წარმომადგებლობითი საბჭოს დადგენილება №173. 28.02.2018. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ;
- 2019 წლის 10 ივლისის აკადემიური საბჭოს №65 (18/19) დადგენილება: „აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო მეთოდური დატვირთვის ნორმები“;
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, იმ პერიოდულობით, რაც უსდ-ს მიერ არის დადგენილი (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშს აკადემიური პერსონალი წარადგენს ყოველი წლის ბოლოს), გადაიხედოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და შემომწდეს მათი მხრიდან შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებისა და პუბლიკაციების პერიოდულობა, რათა შესაბამისობაში მოვიდეს აკრედიტაციის სტანდარტით დადგენილ ნორმებთან
- რეკომენდებულია, შესაბამისი სამსახურის მხრიდან მუდმივად გადამოწმდეს პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ვალიდურობა და მოქმედების ხანგრძლივობა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია პერსონალის მართვის პოლიტიკა, რაც მიმართულია საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

აკადემიური პერსონალის შესაფასებლად გამოიყენება სასწავლო წლის ფარგლებში წინასწარი ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის შეფასება.

სასწავლო - მეთოდურ მუშაობას ამოწმებს ფაკულტეტის დეკანატი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რექტორის მოადგილე.

წლიური დატვირთვების შესრულების გარდა ფაკულტეტზე რეგულარულად წარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასება კოლეგიალური ურთიერთდასწრების პოლიტიკის საშუალებით. დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ახდენს ურთიერთდასწრების შედეგების ანალიზს. ამ ანალიზის საფუძველზეც კი ხდება იმ ძლიერი და გასაუგოხებელი მხარეების გამოყოფა, რომელიც სწავლების პროცესში გამოიკვეთა.

აკადემიური პერსონალი რამდენიმე გზით ფასდება. ერთის მხრივ წლიური დატვირთვების შესრულებით (დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის დეკანი) და კოლეგიალური ურთიერთდასწრების საშუალებით, ასევე სტუდენტთა გამოკითხვების გზით.

სტუდენტის მიერ ფასდება სალექციო/პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხი, სწავლების თანამედროვე მეთოდების მრავალფეროვნება, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოყენებული კრიტერიუმების გამჭვირვალობა და ა. შ.

აკადემიური პერსონალის შერჩევა და დანიშვნა ხორციელდება ღია და გამჭვირვალე კონკურსის საფუძველზე.

პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის უნივერსიტეტი იყენებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს, როგორცაა: ტრენინგებზე და სამეცნიერო კონფერენციებზე მივლინება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები, ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება, უცხო ენის შემსწავლელი კურსები, აწსუ-ს სამეცნიერო კონფერენციების სერვისები.

უსდ-ს მხრიდან მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ აკადემიური პერსონალის განვითარების მიზნით ნამდვილად ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან იგრძნობა მხარდაჭერა აფილირებული აკადემიური პერსონალის მისამართით, რაც სხვადასხვა ტიპის დამატებით წამახალისებელ აქტივობებშიც გამოიხატება. აღსანიშნავია, რომ მაღალ იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების შემთხვევაში უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს გარკვეულ ფულადი ჯილდო სტატიის ავტორისათვის, რაც ერთგვარი სტიმულია აკადემიური პერსონალისთვის და მათი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაღრმავებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები (CV);
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა;
- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა;
- სტუდენტების კმაყოფილების კვლევა;
- აწსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები;

- აწსუ-ს აკადემიური საბჭო დადგენილება No 65(18/19), 10.07.2019 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აწსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, თუმცა გაუმჯობესებას საჭიროებს უნივერსიტეტის სასწავლო ლაბორატორიები.

უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც გარკვეულწილად უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებასა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სტუდენტთა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობას. თუმცა ლაბორატორიულ ნაწილში აუცილებელია თანამედროვე ხელსაწყო დანადგარების დამატება, აღჭურვა (გადაიარაღება გამწოვი კარადებით და შესაბამისი ჭურჭლით) და ასევე, ყველა ლაბორატორიულ ოთახებში ვენტილაციის სისტემების დამონტაჟება.

ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული); სახელმძღვანელოებით, მონოგრაფიებით, ნაშრომების კრებულებით ქიმიის, ეკოლოგიური უსაფრთხოების აქტუალურ საკითხებზე, პროფესიული და რეფერატული ჟურნალებით, ბიბლიოგრაფიული ცნობარებით, ინტერნეტ-რესურსებითა, საერთაშორისო ელექტრონულ ბაზაში ელსევიერი (Elsevier) ჩართულობით და სხვა საინფორმაციო მასალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ-ს ბიბლიოთეკა <https://library.atsu.edu.ge/> ;
- აწსუ-ს V კორპუსში არსებული მატერიალური და ტექნიკურ რესურსი. ქიმიის ლაბორატორიები;
- ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის ლაბორატორიები უზრუნველყოფილი იყოს თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით, ჭურჭლით, გამწოვი სისტემებით და ლაბორატორიის შესაბამისი თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების ინფრასტრუქტურით. ყველა ლაბორატორიულ ოთახებში ვენტილაციის სისტემების დამონტაჟება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მოყვანილი, პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის V კორპუსში არსებული სააუდიტორიო და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა წარმოადგენს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს. საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მიერ, რომელშიც გათვალისწინებულია პროგრამის კომპონენტების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები.

წარმოდგენილ ბიუჯეტის ფორმაში ლაპარაკია ჰიპოთეტურ ჯგუფზე, მასში გაწერილია მხოლოდ ხარჯები, მაგრამ არაფერია ნათქვამი შემოსავლებზე. ხარჯების ნაწილში მოყვანილია მხოლოდ მუხლების დასახელება, ყოველგვარი კონკრეტიკის გარეშე. ბიუჯეტიდან არ სჩანს რა შედის ინფრასტრუქტურის ხარჯში ან სხვა ხარჯებში.

ბიუჯეტი გათვლილია 18 სტუდენტიან ჯგუფზე. არ არის გაწერილი ნაკლები სტუდენტის შემთხვევაში ბიუჯეტის დაბალანსების წყაროები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №175, 28.02.2018 -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ;
- საბაკალავრო პროგრამის „ქიმია“ ფინანსური უზრუნველყოფა.

<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიუჯეტის გაწერა მოხდეს კონკრეტული მუხლების შემადგენლობაში არსებული ხარჯების მითითებით • მიეთითოს ბიუჯეტის დაბალანსებისათვის მიმართული ფინანსების წარმოშობა
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხელმძღვანელობს შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტებით და ფართოდ იყენებს ციკლურ პროცესს, რომელიც ეყრდნობა პრინციპს **დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება**. უნივერსიტეტში შემუშავებული საგანმანათლებლო პოლიტიკა და მარეგულირებელი დოკუმენტები უზრუნველყოფს აღნიშნული ციკლური ხასიათის წარმართვას, რაც გამოიხატება შემდეგი სახით:

I. დაგეგმვა - აკრედიტაციისთვის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება ხდება საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემადგენელი სამი პროცედურის მიხედვით: 1. საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა; 2. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა; 3. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს ჩასატარებელ სამუშაოს, განსაზღვრავს შემოწმების თანამიმდევრობას, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს.

ფაკულტეტებზე მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ყოველწლიურად შეიმუშავებენ სამოქმედო გეგმებს, რომელიც ეფუძნება აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტს, მასში მოცემულ პროცედურებს და მექანიზმებს.

II. განხორციელება - მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურებს. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურებიდან გამომდინარე დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვისთვის განსაზღვრულია შესაბამისი პერიოდულობა. ფაკულტეტზე მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ყოველწლიური სამოქმედო გეგმის მიხედვით, მიმდინარეობს სტუდენტთა ყოველწლიური გამოკითხვა სასწავლო კურსების მიხედვით, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, მონაცემთა ანალიზი და სწავლის და სწავლების ხარისხის ამაღლებაზე მიმართული კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება, სტუდენტებისა გამოკითხვა სწავლების პროცესის შეფასების მიზნით. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული

აქტივობების შესრულების შესახებ ანგარიშს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს და აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვები წარმოებს ყოველი სემესტრის ბოლოს, ხოლო დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ორ წელიწადში ერთხელ. აღნიშნული საკითხის დასაზუსტებლად უსდ-ს მხრიდან წარმოდგენილი იყო შესაბამისი გამოკითხვები და მათი ანალიზი.

III. შეფასება - ეს ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების პროცესს. სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწმდება: ა) საგანმანათლებლო პროგრამები ბ) სასწავლო კურსები/კომპონენტები გ) სასწავლო პროცესის მიმდინარეობა დ) აკადემიური/მოწვეული პერსონალი. შეფასებების ხორციელდება იმ შიდა რეგულაციების მიხედვით, რომელიც უნივერსიტეტს აქვს დამტკიცებული.

IV. გაუმჯობესება - ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, შესაბამისი დასკვნების გამოტანას.

უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება მონაცემთა გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა, თუმცა ნაკლებად იკვეთება რეკომენდაციების შემუშავებისა და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრის ეტაპი, რაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი იწყება შეფასების პროცესების დაგეგმვით. მეორე ეტაპი მოიცავს დაგეგმილი შეფასების პროცესების განხორციელებას, რაც გულისხმობს არსებული საყურადღებო საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოჩენას, თუმცა სასურველია გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, ანალიზის წარმოების შემდეგ, მიღებულ შედეგებზე შემდგომი რეაგირება, რაც გულისხმობს მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით ნაბიჯების გადადგმას, საჭირო ცვლილებების განხორციელებას. უნდა იკვეთებოდეს მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შემდგომში განხორციელებული ან დაგეგმილი რეაგირებები. შესაბამისად, სასურველია გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიან რეაგირების ანგარიშში.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და ინტერვიუების პროცესზე დაკვირვებით უნდა ითქვას, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

2018 წლის იანვარში აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურის იმპლემენტაცია. ინსტიტუციის

მხრიდან შემუშავდა სხვადასხვა სახის დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ყველა სტრუქტურული ერთეულის ეფექტურად ჩართვას.

განხორციელდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ქიმია“ შიდა შეფასება. პროგრამის ხელმძღვანელის და თვითშეფასების ჯგუფის მიერ გათვალისწინებული იყო შიდა შეფასებით მიღებული შენიშვნების გარკვეული ნაწილი.

თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით და ინტერვიუების პროცესით გამოიკვეთა, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედეგაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. პროცესს ბუნებრივია კურირებდა ფაკულტეტზე მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, რომელიც მიუთითებდა თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი გასაუმჯობესებელ მხარეებზე.

როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, ფაკულტეტზე მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გასცემდა გარკვეულ რეკომენდაციებს პროგრამის ხელმძღვანელისა და თვითშეფასების ჯგუფის მისამართით, თუმცა, როგორც აღინიშნა საბოლოოდ არ მოხდა ზოგიერთი საჭირო მითითების გათვალისწინება რიგ შემთხვევებთან მიმართებით. ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მხრიდან ეს განიმარტა, როგორც აკადემიური თავისუფლების მინიჭება პროგრამაზე მომუშავე პერსონალისთვის.

მიუხედავად ამისა, სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან გაიცეს უფრო მკაფიო რეკომენდაციები პროგრამაზე მუშაობისას გამოვლენილ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, დაანახოს პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს ამ ცვლილებათა განხორციელების აუცილებლობა და გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში სათანადო შედეგების დადგომის რისკი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“. აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება - No49 (17/18), 09.02.2018;
- უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- პროგრამის თვითშეფასებება 2011-2017;
- შიდა შეფასება;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიანი რეაგირების ანგარიშში, რათა უფრო ნათლად გამოიკვეთოს, თუ რამდენად იყენებს უსდ გამოკითხვის შედეგებს პროგრამის განვითარებისათვის
- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან გაიცეს უფრო მკაფიო რეკომენდაციები პროგრამაზე მუშაობისას გამოვლენილ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, დაანახოს პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს ამ ცვლილებათა განხორციელების აუცილებლობა და გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში სათანადო შედეგების დადგომის რისკი

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში.

პროგრამის გარე შეფასებაში მონაწილეობა მიიღო ორმა გარე შემფასებელმა (ექსპერტმა), პარტნიორი ადგილობრივი უნივერსიტეტიდან. არცერთი გარე შემფასებელი არ არის შესაფასებელი პროგრამის წარმომადგენელი, არ არის დაინტერესებული მხარე, შეფასებისას იცავს ეთიკის ნორმებს, გააჩნია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

გარე შეფასებისას პროგრამა საერთო ჯამში შეფასდა დადებითად. გამოითქვა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელთა გათვალისწინებაც მოხდა პროგრამაზე მუშაობისას.

პროგრამის რეკრედიტაციისას შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იქნა 2011 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის და განახლებული პროგრამის გარე ექსპერტების რეკომენდაციები, რომელიც კონკრეტულ სასწავლო კურსებში საჭირო ცვლილებებთან დაკავშირებით იყო გამოთქმული.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“.

უნივერსიტეტი გარე შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის განვითარების/გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა და მართვა ხორციელდება უსდ-ს მიერ დამტკიცებული რეგულაციების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს ყველა პროცესის მიმდინარეობის გამჭვირვალობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“. აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება - No49 (17/18), 09.02.2018;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ქიმია“ გარე ექსპერტთა შეფასებები;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

<p>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>o გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><u>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u></p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p>
<p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით, უნივერსიტეტის წესდებით, სხვა ნორმატიული დოკუმენტებითა და სტანდარტებით.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასების პროცესი ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურის მიხედვით, რომელიც გამოიყენება აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისათვის, მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასების პროცესი ხორციელდება შემდეგი აქტივობების/დონისძიებების გამოყენებით:</p>

ა) პროგრამის მონიტორინგი, რომელსაც ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მიღებული შენიშვნები და რეკომენდაციები პერიოდულად აისახება საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებებისა და დამატებების სახით.

ბ) ძირითადი დაინტერესებული პირების (სტუდენტი, ლექტორი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვები.

სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე ხდება პროგრამის შედეგებისა და შემდგომი განვითარების საჭიროებების შესახებ კვლევა. აღნიშნული კითხვარები არის ანონიმური.

ყოველი სემესტრის ბოლოს ხდება სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებლების, ორ წელიწადში ერთხელ დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა. გამოკითხვებს წარმართავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შესაბამისი აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებით დასტურდება, რომ დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვები პერმანენტულ ხასიათს ატარებს და გამოკითხვებით მიღებული შედეგები და ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას.

გ) ურთიერთდასწრების პროცესის ანალიზი, რომელსაც ახორციელებს დეპარტამენტი, იძლევა სხვადასხვა საგნების სწავლების ხარისხის შეფასების, ხარვეზების გამოვლენისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას საჭიროებების შემთხვევაში. აკადემიური პერსონალის ურთიერთდასწრება და სააუდიტორიო მუშაობის შეფასება და შეფასების შედეგების ანალიზი ხდება ყოველ სემესტრში. ინსტიტუციამ ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მეცადინეობის შეფასების ოქმი წარმოადგინა მტკიცებულების სახით.

დ) სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი სრულდება შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით, რაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით შემდეგი მონაცემების შეგროვებას, როგორცაა ჩატარებული გამოცდების რაოდენობა, გამოცდებზე დაშვებული სტუდენტების რაოდენობა, ECTS-ის მიხედვით მიღებული დადებითი და უარყოფითი შეფასებების მაჩვენებელი, დადებითი შეფასებების მაჩვენებელი ECTS -ის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამების და სემესტრების მიხედვით, იმ სასწავლო კურსების დადგენა, სადაც ფიქსირდება უმაღლესი შეფასებების (A და B), ან დაბალი შეფასებების (E და D) მაღალი პროცენტული მაჩვენებელი და მიზეზების დადგენა. ხდება მონაცემების შედარება წინა სემესტრების მაჩვენებლებთან. უსდ-მ წარმოადგინა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზებიც თანდართული მტკიცებულების სახით.

ე) კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ყოველწელს აკეთებს

კურსდამთავრებულთა გამოკითხვას დასაქმებასთან დაკავშირებით და მიღებული შედეგების ანალიზით დგინდება რამდენად მოთხოვნადია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებული შრომის ბაზარზე. უსდ-ს მხრიდან წარმოდგენილი იყო, როგორც საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმიის“ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი წლების მიხედვით, ასევე მათი გამოკითხვის შედეგად განხორციელებული ანალიზი.

ვ) პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, მოწვეული) გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით მიღებული განვითარების ანალიზი და მათი მხრიდან განხორციელებული აქტივობები წარმოდგენილი იყო შესაბამისი ანგარიშების სახით.

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დგება საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, სადაც განიხილება პროგრამის განხორციელების სტატისტიკური მაჩვენებელი, პროგრამის განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებები, პროგრამის შიდა შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები, შესაბამისი ღონისძიებები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებები, პრაქტიკა და სხვა აქტივობები.

ინსტიტუციის მხრიდან არ იყო წარმოდგენილი ე. წ. „ბენჩმარკინგი“, რაც გულისხმობს პროგრამის დადარებას როგორც ადგილობრივ, ისე უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

აკრედიტაციის 5.3. სტანდარტის გათვალისწინებით, პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იქნეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. ინტერვიუების პროცესისა და ინსტიტუციის მხრიდან წარმოდგენილი არგუმენტიურებული პოზიციის მიხედვით გამოიკვეთა, რომ უსდ- პერიოდულად ახორციელებს მსგავს დადარებას, თუმცა არა აქვს წარმოდგენილი ერთიანი ბენჩმარკინგის დოკუმენტის სახით.

შესაბამისად, სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და წარმოდგენილი იყოს შესაბამისი ანგარიშის სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა;
- აკადემიური პერსონალის თვითშეფასების კითხვარი;
- სტუდენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;

- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს ოქმები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და წარმოდგენილი იყოს შესაბამისი ანგარიშის სახით

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

„ქიმია“, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 47 გვ.

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო პატარაია

ნ. პატარაია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნათია ოჩხიკიძე

ნ. ოჩხიკიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მამუკა მაისურაძე

მ. მაისურაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამარ ხატისაშვილი

თ. ხატისაშვილი